ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №298

ქ. თბილისი

25 დეკემბერი2017 წ.

ერთის მხრივ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“ (შემდგომში – შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნონა ღუდუშაურის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,გლობუსი ემ-ბე“ წარმოდგენილი მისი დირექტორის მაყვალა ბეშიძის სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ **“საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის** საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულების საგანი (შესყიდვის ობიექტი)

1.1 ხელშეკრულების საგანი (შესყიდვის ობიექტი): (საბიუჯეტო სახსრებით) ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული საქონლის სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად (საქონლის დასახელება, CPV კოდი, რაოდენობა და ერთეული ფასი მოყვანილია N1 დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1223,50 (ერთიათას ორასოცდასამი ლარი და 50 თეთრი) ლარს.

2.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავ მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3. შესყიდვის ობეექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შემსყიდველს მიაწოდებს ხარისხიან საქონელს.

4. შესყიდვის ობეექტის მიწოდების პირობები, ვადები

4.1 შესყიდვის ობექტის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი #9ა.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის მიწოდება შემსყიდველისათვის **2017 წლის 25 დეკემბრიდან 2017 წლის 28 დეკემბრამდე.**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებელის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის მოადგილე დავით უგულავა.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

6. ანგარშსწორების წესი

6.1 ანგარიშსწორების ფორმა- უნაღდო.

6.2 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება (ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე) მხარეთა შორის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულების მოშლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულების მოშლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ხოლო თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილობრივ შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ს.

8.6 იმ თემთხვევაში, თუკი მხარის მიერ გადასახდელი (მხარისათვის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად დაკისრებული) პირგასამტეხლოს საერთო ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

9. ხელშეკრულოების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება **2017 წლის 25 დეკემბრიდან 2018 წლის 30 იანვრამდე.**

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს–მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომეწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართვენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს კოლეჯში მოქმედი ინსპექტირების ჯგუფი.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთნ ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თნაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთნ დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“

მისამართი: ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი #9ა, ს/კ 209467646;

სახელმწიფო ხაზინა TRESGE22 ; ორგანიზაციული კოდი 32030111

დირექტორი: ნონა ღუდუშაური

(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:

შპს ,,გლობუსი ემ-ბე“, მისამართი “ ქ. თბილისი, დიღმის მას. მე-6 კვ მე-18 კორპ.

სს „პროკრედიტ ბანკი“ ბანკის კოდი: MIBGGE22 ა/ა GE63PC0203600100017032

ს/კ 202446969

დირექტორი: მაყვალა ბეშიძე

(ხელმოწერა)

დანართი N1

№	CPV-კოდი	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდ.	ერთ. ფასი	საქონლის ფასი
1	30193100	საქაღალდე ყუთი	ცალი	5	6	30.00
2	30192133	სათლელი (ბაყაყი) პლასტმასის	ცალი	10	3	30.00
3	30192130	ფანქარი კოხინორი	ცალი	30	1	30.00
4	30192121	პასტა პილოტი	ცალი	20	2	40.00
5	30192121	პასტა ლურჯი	ცალი	20	0.5	10.00
6	30192121	კალამი	ცალი	20	1	20.00
7	30192121	კალამი	ცალი	30	0.4	12.00
8	30192100	საშლელი	ცალი	28	0.5	14.00
9	30192160	შტრიხი პასტა	ცალი	20	1.2	24.00
10	30192125	ტექსტმარკერი	ცალი	30	1.5	45.00
11	30192125	მარკერი მინის	ცალი	10	3.5	35.00
12	30192125	ფ50 პერნამენტ მარკერი	ცალი	12	3.5	42.00
13	30192000	სტიკი ფოთლები	ცალი	3	2.5	7.50
14	30192000	წებოვანი სტიკი	ცალი	10	4	40.00
15	30192000	ჩასანიშნი ფურცლები კუბიკი	ცალი	20	5	100.00
16	30197130	კლიპსი 15მმ	ცალი	100	0.15	15.00
17	30197130	კლიპსი 25მმ	ცალი	100	0.25	25.00
18	30197130	კლიპსი# 1241 მმ (ნოკი)	ცალი	60	0.3	18.00
19	30197120	ჭიკარტი	ცალი	6	0.5	3.00
20	30192700	თარო საკანცელარიო ვერტიკალური	ცალი	3	8	24.00
21	30141200	კალკულატორი	ცალი	2	20	40.00
22	22816100	ბლოკნოტი ყოველღიური	ცალი	9	10	90.00
23	22816100	ბლოკნოტი ყოველდღიური	ცალი	9	5	45.00
24	22816100	ბლოკნოტი	ცალი	5	4	20.00
25	22816100	ბლოკნოტი	ცალი	10	5	50.00
26	22816100	მცირე ბლოკნოტი ჩანახატების ა5 14*20	ცალი	5	7	35.00
27	22852000	23/1 ფერადი სწრაფჩამკერი	ცალი	200	0.6	120.00
28	30192700	მმრალი წებო	ცალი	20	1	20.00
29	30192700	წებო თხევადი	ცალი	20	1.5	30.00
30	39292500	სახაზავი მეტალის 20სმ	ცალი	20	1	20.00
31	39292500	სახაზავი	ცალი	20	1	20.00
32	39241200	მაკრატელი	ცალი	10	3	30.00
33	39241200	მაკრატელი	ცალი	10	4	40.00
34	30192700	საკანცელარიო დანა	ცალი	5	7	35.00
35	30192700	სკოჩი 45მმ/100მ	ცალი	22	2.5	55.00
36	30192700	სკოჩი 15მმ/30მ	ცალი	30	0.3	9.00
		ჯამი				**1223.50**

შემსყიდველი:
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი"
დირექტორი: ნონა ღუდუშაური

(ხელმოწერა)

მომწოდებელი:
შპს „გლობუსი ემ-ბი"
დირექტორი: მაყვალა ბეჟიძე

(ხელმოწერა)

მიღება– ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი

25.12.2017 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ (შემსყიდველი) მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორის გოდერძი მადურაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,გლობუსი ემ-ბე“ (მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მაყვალა ბეშიძის სახით ვადგენთ მიღება–ჩაბარების აქტს მასზედ, რომ 2017 წლის 25 დეკემბრის N298 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებელმა მიაწოდა და შემსყიდველმა მიიღო დანართ N1-ში მოცემული საქონელი.

დანართი N1

№	CPV-კოდი	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდ.	ერთ. ფასი	საქონლის ფასი
1	30193100	საქაღალდე ყუთი	ცალი	5	6	30.00
2	30192133	სათლელი (ბაყაყი) პლასტმასის	ცალი	10	3	30.00
3	30192130	ფანქარი კოხინორი	ცალი	30	1	30.00
4	30192121	პასტა პილოტი	ცალი	20	2	40.00
5	30192121	პასტა ლურჯი	ცალი	20	0.5	10.00
6	30192121	კალამი	ცალი	20	1	20.00
7	30192121	კალამი	ცალი	30	0.4	12.00
8	30192100	საშლელი	ცალი	28	0.5	14.00
9	30192160	შტრიხი პასტა	ცალი	20	1.2	24.00
10	30192125	ტექსტმარკერი	ცალი	30	1.5	45.00
11	30192125	მარკერი მინის	ცალი	10	3.5	35.00
12	30192125	ფ50 პერნამენტ მარკერი	ცალი	12	3.5	42.00
13	30192000	სტიკი ფოთლები	ცალი	3	2.5	7.50
14	30192000	წებოვანი სტიკი	ცალი	10	4	40.00
15	30192000	ჩასანიშნი ფურცლები კუბიკი	ცალი	20	5	100.00
16	30197130	კლიპსი 15მმ	ცალი	100	0.15	15.00
17	30197130	კლიპსი 25მმ	ცალი	100	0.25	25.00
18	30197130	კლიპსი# 1241 მმ (ნოკი)	ცალი	60	0.3	18.00
19	30197120	ჭიკარტი	ცალი	6	0.5	3.00
20	30192700	თარო საკანცელარიო ვერტიკალური	ცალი	3	8	24.00
21	30141200	კალკულატორი	ცალი	2	20	40.00
22	22816100	ბლოკნოტი ყოველღიური	ცალი	9	10	90.00
23	22816100	ბლოკნოტი ყოველდღიური	ცალი	9	5	45.00
24	22816100	ბლოკნოტი	ცალი	5	4	20.00
25	22816100	ბლოკნოტი	ცალი	10	5	50.00
26	22816100	მცრ180 ბლოკნოტი ჩანახატების ა5 14*20	ცალი	5	7	35.00
27	22852000	23/1 ფერადი სწრაფჩამკერი	ცალი	200	0.6	120.00
28	30192700	მშრალი წებო	ცალი	20	1	20.00
29	30192700	წებო თხევადი	ცალი	20	1.5	30.00
30	39292500	სახაზავი მეტალის 20სმ	ცალი	20	1	20.00
31	39292500	სახაზავი	ცალი	20	1	20.00
32	39241200	მაკრატელი	ცალი	10	3	30.00
33	39241200	მაკრატელი	ცალი	10	4	40.00
34	30192700	საკანცელარიო დანა	ცალი	5	7	35.00
35	30192700	სკოჩი 45მმ/100მ	ცალი	22	2.5	55.00
36	30192700	სკოჩი 15მმ/30მ	ცალი	30	0.3	9.00
		ჯამი				**1223.50**

მიიღო:
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“
მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი

გოდერძი მადურაშვილი

ჩააბარა:
შპს ,,გლობუსი ემ-ბე“

დირექტორი: მაყვალა ბეშიძე